სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-14 06.02.2024

ბრძანება

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტურ თვითმართველობაში ორ ვაკანტურ ადგილზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს „ უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 43 მუხლის, 1 ნაწილის –„ე“ პუნქტის, ასევე მუხლი 45 1 ნაწილის, სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების მე-14 მუხლის მე-6 ნაწილის და 38 მუხლის შესაბამისად, ასევე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადების N 04/17 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1 სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმართველობის ვადამდე უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრების ნაცვლად, თვითმართველობის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, ახალი წევრების არჩევის მიზნით, 2024 წლის 5 მარტს, 11:00 საათიდან 17:00 საათის ჩათვლით , არჩევნები დაინიშნოს შემდეგ მისამართზე: თბილისი. ვაჟა ფშაველას 76 ბ.

ა) მწვრთნელთა ფაკულტეტიდან 1 სტუდენტი.

ბ) ფიზიკური მედიცინისა და რეაილიტაციის ფაკულტეტიდან 1 სტუდენტი.

2. დაინტერესებულმა სტუდენტებმა განცხადებით (საარჩევნო კომისიის სახელზე) და სავალდებულო დოკუმენტაციით უნდა მიმართონ უნივერსიტეტის კანცელარიას 2024 წლის 20 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა).

მისამართზე: თბილისი. თამარაშვილის 4ა. III სადარბაზო, III სართული

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge

3. კანდიდატებმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინონ

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 5 კაციანი მხარდამჭერთა სია ხელმოწერით - ფაკულტეტების მიხედვით, რომელი ფაკულტეტიდანაც იყრის კენჭს;
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ იმ ფაკუტეტიდან, რომელზეც იყრის კენჭს.

4. სპორტის უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს არჩევნების ორგანიზება - ჩატარებისათვის „სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ არჩევნების ჩატარების დებულებით გათვალისწინებული ღონისძიების გატარება;

5. ბრძანება განთავსდეს სპორტის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე.

რექტორის მ/შ

პროფესორი

ტრისტან გულბიანი